

**რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი - 040753
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

რკინიგზაზე მატარებელთა გადაადგილება წარმოებს ლოკომოტივებით, რაც მნიშვნელოვან და აუცილებელ ერთეულს წარმოადგენს. საქართველოს რკინიგზა მთლიანად ელექტრიფიცირებულია, რის გამოც მაგისტრალურ ლოკომოტივად (ძირითადი სატვირთო გადაზიდვებისათვის) გამოიყენება ელექტრომავალი. იგი გადაადგილებს აგრეთვე სამგზავრო მატარებლებსაც. მგზავრების გადასაცვანად გამოიყენება ელექტრომატარებლები. სამანევრო სამუშაოებისათვის გამოიყენება თბომავლები, რომელიც მუშაობს დიზელის ძრავით. სამონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოიყენება ავტომოტორისები, რომელიც მუშაობს შიდაწვის ძრავით. ამრიგად ძირითადი ლოკომოტივია ელექტრომავალი და ელექტრომატარებლის ძრავვაგონი. ძრავვაგონები შეიძლება აღჭურვილი იყოს: გაშვებისა და მართვის რეოსტატულ-კონტაქტორული მოწყობილობით, ტირისტორული იმპულსური მართვით და ჩინური ელექტრომატარებლები ტირისტორული მართვის მოწყობილობით.

რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის საქმიანობა ემსახურება: ელექტრომავლების (ელექტრომატარებლების) მექანიკური და ელექტრული ნაწილების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის, ტექნიკური დათვალიერების და მიმდინარე შეკეთების ორგანიზებას და ჩატარებას სალოკომოტივო დეპოებსა და ლოკომოტივების ტექნიკური მომსახურების პუნქტებში.

II. დასაქმების სფერო

რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი არის პერსონალი, რომელიც რკინიგზის სალოკომოტივო დეპოებსა და ლოკომოტივების გასინჯვის პუნქტებში ასრულებს ელექტრომავლების (ელექტრომატარებლების) მექანიკური, პნევმატური, სამუხრუჭო მოწყობილობების, დაბალი და მაღალი ძაბვის ელექტროაპარატურის საზეინკლო, ელექტროსამონტაჟო და მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. გარკვეული ინსტრუქციების, მართვის უნარ-ჩვევების დაუფლების შემდეგ შესაძლებელია მათი მუშაობა მემანქანის თანაშემწედ და მემანქანედ ხაზზე პრაქტიკული გარბენების შესრულებისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ. მათ შეუძლიათ იმუშაონ თბომავლის მემანქანის თანაშემწედ და ავტომოტორისის მემანქანედ. მაღალი საფეხურის ელექტრომექანიკოსი შეიძლება დასაქმდეს ოსტატად ელექტრომექანიკურ საამქროში ან მემანქანე ინსტრუქტორად.

III. დამატებითი მოთხოვნები

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი. თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს: 36 კრედიტი (60%) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 24 (40%) - საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიულ კვალიფიკაცია აღმწერი

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის: რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის დანიშნულება, მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი; ძირითადი და დამხმარე ელექტრული მანქანების, დამცავი და საკომუტაციო აპარატურის დასახელება და დანიშნულება; მომსახურეობას დაქვემდებარებული ძირითადი მოწყობილობების დაზიანების ან ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის ნიშნები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; ელექტრომავლის (ელექტრომატარებლის) ტექნიკური მომსახურეობის და შეკეთების სახეები და მოცულობა; ელექტრომავლის (ელექტრომატარებლის) მიღების, მომსახურების, დათვალიერების და ჩაბარების წესები და ხერხები; სალოკომოტივო ბრიგადის (ელექტრომავლის მემანქანის თანაშემწის) სამსახურეობრივი ინსტრუქციები; ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, სიგნალიზაციის, მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციები; შრომის უსაფრთხოების წესები ელექტრომავლის (ელექტრომატარებლის) ექსპლუატაციისა და შეკეთების დროს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების</p>	<p>შეუძლია: გამოიყენოს სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართო სპექტრი და გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: ძირითადი დამხმარე ელექტრული მანქანების, დამცავი საკომუტაციო აპარატურის,</p>

	<p>შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>სამუხრუჭე მოწყობილობების კვანძების დაშლა და აწყობა; წვეის ძრავას ღუზას, აგზნების და დამხმარე პოლუსების გრაგნილების დამზადება და მათი გაიზოლირება, გალუნვა და ჩამაგრება; როგორც მემანქანის თანაშემწეს უნდა შეეძლოს მემანქანის ხელმძღვანელობით; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მომზადება სამუშაოდ; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მომსახურება გზაში, სადგურებსა და მოსაბრუნებელ პუნქტებში; დაკვირვება ლოკომოტივის ნაწილებისა და მექანიზმების მუშაობაზე; დაკვირვება მატარებლის მსვლელობაზე, სიგნალებზე, გზაში და სადგურებში, ლიანდაგისა და საკონტაქტო ქსელის მდგომარეობაზე; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) ჩაბარება და მიღება დეპოსა და სადგურის ლიანდაგებზე; მიიღოს ზომები სამატარებლო მუშაობაში წუნის აღსაკვეთად; აწარმოოს დაწესებული ტექნიკური დოკუმენტაცია;</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ცნობილი წყაროებით სარგებლობა, ინფორმაციის შეფასება და ანალიზი რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას რაიმე დეტალის (ელემენტის) შეკეთების ან შეცვლის შესახებ.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს – ტექნიკურ ჟურნალებს, ცნობარებს და ინტერნეტს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება – საჭირო მასალის მოძიება უცხო ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას დამატებით მოძიებული ლიტერატურით სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების და ბროშურების მეშვეობით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად განსხვავებულ სიტუაციებში; იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; იცნობს უსაფრთხოების წესებს და განუხრელად იცავს მას; პასუხისმგებლობით ეკიდება სამუშაო პროცესს. ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მემანქანის თანაშემწის ღირებულებებია: კოორდინაციის კარგი უნარი, სივრცული ხედვა, ფიზიკური დატვირთვის ატანა კლიმატური პირობების მკვეთრი ცვალებადობისას; განსხვავებულ სიტუაციებს რეაქციის სწრაფი უნარი.</p>

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>იცის: სარკინიგზო ტრანსპორტიდან – სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონალური დანიშნულება, მისი შემადგენელი რგოლები, ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის საწარმოები და მათი ადგილი სფეროში; მასალათმცოდნეობიდან – კონსტრუქციული გამტარი და საიზოლაციო მასალების ძირითადი მახასიათებლები, თვისებები; მათემატიკიდან გაწარმოება, ინტეგრირება – მოკლედშერთვებისას, გადამეტაბვებისას, რკალის ქრობის და დენის ცვალებადობის გარდამავალი რეჟიმების მათემატიკური საფუძვლების ახსნისათვის; ხაზვიდან – მარტივი მექანიზმების, რედუქტორების კონსტრუქციული ნახაზების კითხვა და გარჩევა; ტექნიკური მექანიკიდან – მოძრაობის გარდამქმნელი მექანიზმები, დეფორმაციის ნაირსახეობები ელექტრომოდრავი შემადგენლობის მოწყობილობებში, აპარატებში, გრაგნილებში. მოკლედშერთვებისას წარმოშობილი დეფორმაციები, მათი სიმტკიცეზე გაანგარიშებისათვის; ელექტროტექნიკიდან და სამრეწველო ელექტრონიკიდან – ელექტროამძრავი, გამმართველები, ნახევარგამტარული ხელსაწყოები, ტირისტორები იმპუსსური რეგულირებისთვის; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მექანიკური ნაწილის, სამუხრუჭო აპარატურის, წვევის ძრავების; დამცავი და საკომუტაციო აპარატურის, დაბალი ძაბვის აპარატურის სააკუმულატორო ბატარეის მოწყობილობა, კონსტრუქციული შესრულება და მოქმედების პრინციპი; ამ მოწყობილობებში შესაძლო უწყისივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები; მოწყობილობების საექსპლუატაციო მომსახურების ტექნიკური ნორმები; ელექტრომაგლის მემანქანის თანამდებობრივი ინსტრუქციები; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მომზადება რეისისთვის, მისი მიღების, მომსახურების, დათვალიერების და ჩაბარების წესები და ხერხები; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) რეისისთვის მომზადება ზამთრის პირობებში; საქართველოს რკინიგზების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, სიგნალიზაციისა და მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციები; ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) ტარების რეჟიმები. აცნობიერებს, გარკვეულ პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და მის გაუმჯობესებაზე.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია: ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მექანიკური ნაწილის, სამუხრუჭო აპარატურის წვევის ძრავების, დამცავი და საკომუტაციო აპარატურის, დაბალი ძაბვის აპარატურის, სააკუმულატორო ბატარეის შემოწმება, რეგულირება და გამართვა; ელექტროდანადგარების და აპარატების იზოლაციის შემოწმება, მაღალ ძაბვაზე გამოცდა; აპარატურის გაწყობა და რეგულირება; ჩატარებულ სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა; საეკვიპირებო მოწყობილობების შემოწმება; საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ჩატარებაზე ზედამხედველობა; მემანქანედ მუშაობისას ელექტრომაგლის (ელექტრომატარებლის) მომზადება სამუშაოდ; მომსახურება გადასარბენებზე, სადგურებსა და მოსაბრუნებელ პუნქტებში; დაკვირვება მატარებლის მსვლელობაზე, სიგნალებზე, ლიანდაგისა და საკონტაქტო ქსელის მდგომარეობაზე; ჩაბარება და მიღება დეპოსა და სადგურის ლიანდაგებზე; იძულებითი გაჩერების და სამატარებლო მუშაობაში</p>

		წუნის აღსაკვეთი ზომების მიღება.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი	შეუძლია: ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემის წამოჭრისას დამოუკიდებლად მიიღოს დასკვნის გადასაწყვეტად; გარკვეული სამუშაოს ჯგუფური შესრულებისას, ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს მასზე დაქვემდებარებულ პირთა საქმიანობა და მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოს გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ; მოახდინოს მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	შეუძლია: პროფესიასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე არასპეციალისტებისთვის იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის პროფესიულ დონეზე გადაცემა; პროფესიასთან დაკავშირებული სიახლეების გასაცნობად თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიება და გაცნობა საჭიროების შემთხვევაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში	შეუძლია: საკუთარი ინიციატივით ცოდნის გაღრმავება; მოიძიოს ახალი პროფესიული ინფორმაცია, გადაამუშაოს და გაანალიზოს პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, გაუზიაროს კოლეგებს და მიიღოს მონაწილეობა დანერგვაში; გაიზიაროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	აფასებს თავისი და მასთან ერთად მომუშავე ადამიანების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს; მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს ცვალებად სიტუაციებში; ახასიათებს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებისადმი ერთგულებას.

რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული	იცის: ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკიდან მზომი ხელსაწყოებისა და ელექტრონული რეღების იმპულსური რეგულირების ელემენტების მუშაობის პრინციპი; ელექტრომოდრავი
-----------------------	---	--

	<p>თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)</p>	<p>შემადგენლობის ავტომატური მართვის პრინციპები; წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და მართვის საფუძვლები; ელექტრომოდრავი შემადგენლობის მოვლა-შენახვის ორგანიზება; ტექნიკური ექსპლუატაციისა და ელექტრულ დანადგართა მოწყობის წესები; სამუხრუჭე მოწყობილობების მუდმივი მონიტორინგის ორგანიზება; დარგის შრომის კანონმდებლობა; მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები, ღონისძიებები და ნორმები; ეკოლოგიური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ღონისძიებები და ნორმები; საქართველოს რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია, სიგნალიზაციის ინსტრუქცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სფეროსთან დაკავშირებული სამსახურეობრივი ინსტრუქციები. აცნობიერებს პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად განახლების აუცილებლობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტა</p>	<p>შეუძლია: ელექტროდეპოებში ელექტრომოდრავი შემადგენლობის მექანიკური და ელექტროაპარატურის ექსპლუატაციის ორგანიზება ან უშუალოდ შესრულება; უშუალოდ აწარმოოს ან უხელმძღვანელოს ელექტრომოდრავი შემადგენლობის მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურეობას და მიმდინარე შეკეთებას; მოწყობილობების უწყისივრობების (პრობლემების) აღმოჩენა, დაფიქსირება, მიზეზის დადგენა და შეკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; შემკეთებელ ზეინკალთა ბრიგადის სამუშაოს ორგანიზება, ინსტრუქტაჟი და სამუშაოში პირადი მონაწილეობა სამუშაოს განწყობის მიხედვით, დადგენილი ტექნოლოგიით და უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვით; დამცავი საშუალებები, სამარჯვების, ჩარხების, ინსტრუმენტების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა; საზეინკლო ბრიგადის და სხვა მუშაკების მიერ უსაფრთხოების წესების და სამუშაოს ტექნოლოგიის დაცვაზე მეთვალყურეობის უზრუნველყოფა; საწარმოო ტრავმებისა და უბედური შემთხვევების დროს პირველადი, დახმარების აღმოჩენა; საზეითი, საპოხი მასალების, ფერადი ლითონების ეკონომიურად ხარჯვის ღონისძიებების დანერგვის უზრუნველყოფა; პროფესიული ცოდნის და გამოცდილების სხვისთვის გადაცემა</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება</p>	<p>შეუძლია: კარგად განსაზღვრული პრობლემის ამოცნობა, როგორცაა ელექტრომავლის ბუქსების გადახურება მოძრაობის დროს, საპოხი და საზეითი მასალის ხარჯის გაზრდა, სამუხრუჭე ხუნდების სწრაფი ცვეთა, ზეთისა და ჰაერის გაპარვა შემაერთებელ მილსადენებში და მათი დაფიქსირებელ მომჭერებში, დენმიმღების ცოცხლს სწრაფი ცვეთა და სხვა; მათი გადაჭრისთვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; დასაბუთებული დასკვნების გაკეთება მათი მიზეზების შესახებ.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და</p>	<p>შეუძლია იდეებისა და პროფესიისთვის დამახასიათებელი საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გამოყენებით;</p>

	<p>თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>	<p>თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის შედეგების შეფასება, ცოდნის დონის ამაღლების საჭიროების განსაზღვრა, მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; სისტემატურად ეცნობა მეცნიერების უახლოეს მიღწევებსა და თანამედროვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს პერიოდული გამოცემებისა და ინტერნეტის საშუალებით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს</p>	<p>გაცნობიერებული აქვს საქმიანობის სფეროს მნიშვნელობა; მკაცრად იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან უსაფრთხოების ყველა ღონისძიებები, რადგან მცირედი უზუსტობა, უყურადღებობა, გაუფრთხილებლობა შეიძლება მიზეზი გახდეს საწარმოო ტრავმატიზმის და დეტალური შედეგისაგ კი; საქმიანობისას მოქმედებს და სხვებსაც მოუწოდებს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად.</p>